ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №39
2018 წლის 18 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

1. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად.

3. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად.

4. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IVთავის შესაბამისად,კერძოდ:

ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად;

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად;

გ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად.

5. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის

,პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად,კერძოდ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად.

6. განისაზღვროს ყაზბეგის მინიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15-23 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის №16 დადგენილება (w.w.w matsne.gov.ge 21/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.151.016226) ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გრიგოლ სეთურიძე**

დანართი

თავი I

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10 465.7	8839.0	1585.0	7254.0	8500.0	85.0	8415.0
შემოსავლები	10 242.0	8839.0	1585.0	7254.0	8500.0	85.0	8415.0
არაფინანსური აქტივების კლება	223.6	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	77 16.5	15917.0	3076.5	12840.5	8500.0	85.0	8415.0
ხარჯები	31 29.3	5182.0	94.3	5087.7	4673.5	85.0	4588.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 587.3	10735.0	2726.5	8008.5	3826.5	0.0	3826.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	2 749.2	-7078.0	-1235.8	-5842.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი

			გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
შემოსავლები	10242.0	8839.0	1585.0	7254.0	8500.0	85.0	8415.0
გადასახადები	4644.1	4470.0	0.0	4470.0	4687.8	0.0	4687.8
გრანტები	1695.3	1585.0	1585.0	0.0	85.0	85.0	0.0
სხვა შემოსავლები	3902.7	2784.0	0.0	2784.0	3727.2	0.0	3727.2
ხარჯები	3129.3	5182.0	94.3	5087.7	4673.5	85,0	4588,5
შრომის ანაზღაურება	838.1	1092.7	32.6	1060.1	1090.2	36,0	1054,2
საქონელი და მომსახურება	352.1	1496.7	16.7	1480.0	473.0	4,0	469,0
პროცენტი	0.0	29.3	0.0	29.3	16.7	0.0	16.7
სუბსიდიები	1741.6	2293.7	45.0	2248.7	2840.4	45,0	2795,4
გრანტები	12.1	6.2	0.0	6.2	6.6	0.0	6.6
სოციალური უზრუნველყოფა	172.2	193.0	0.0	193.0	211.5	0.0	211.5
სხვა ხარჯები	13.2	70.4	0.0	70.4	35.1	0.0	35.1
საოპერაციო სალდო	7112.8	3657.0	1490.7	2166.3	3826.5	0.0	3826.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4363.6	10735.0	2726.5	8008.5	3826.5	0.0	3826.5
ზრდა	4587.3	10735.0	2726.5	8008.5	3826.5	0.0	3826.5
კლება	223.6	0.0	0.0	0.0.0	0.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	2749.2	-7078.0	-1235.8	-5842.2	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	2749.2	-7078.0	-1235.8	-5842.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	2749.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2749.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	7078.0	1235.8	5842.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	7078.0	1235.8	5842.2	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0

თავი II

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8500.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 242.0	8839.0	1585.0	7254.0	8500.0	85.0	8415.0
გადასახადები	4 644.1	4470.0	0.0	4470.0	4687.8	0.0	4687.8
გრანტები	1 695.3	1585.0	1585.0	0,0	85.0	85.0	0.0
სხვა შემოსავლები	3 902.7	2784.0	0.0	2784.0	3727.2	0.0	3727.2

მუხლი 4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4687.8 ათ . ლარის ოდენობით:

			2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	10 242.0	4470.0	0,0	4470.0	4687.8	0.0	4687.8
საშემოსავლო გადასახადი	111	85.5	70.0	0,0	70.0	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	113	4 558.5	4400.0	0.0	4400.0	4600,3	0,0	4600,3
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	4 165.3	4099.0	0.0	4099.0	4300,0	0,0	4300,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	73.1	1.0	0.0	1.0	1,0	0,0	1,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	11.4	0.0	0.0	0.0	0,8	0,0	0,8
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	308.8	300.0	0.0	300.0	298,5	0,0	298,5
დამატებითი ღირებულების გადასახადი	11411	0,0	0,0	0,0	0,0	87,5	0,0	87,5

მუხლი 5. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 85,0 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
გრანტები	1 695.3	1585.0	85,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 695.3	1585.0	85,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	78.1	1585.0	85,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	78.1	85,0	85,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 617.2	1500.0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1 617.2	1500.0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0,0	0,0
მგფ-ის თანადაფინანსება	0,0	0,0	0,0
საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	0,0	0,0	0,0
სხვა პროექტები	0,0	0,0	0,0

მუხლი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 3727,2 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	14	3 902.7	2784.0	3727,2
შემოსავლები საკუთრებიდან	141	100.3	12.2	142,2
პროცენტები	1411	64.8	0.0	40,0
რენტა	1415	35.5	12.2	102,2

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	13.2	10.0	100,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	22.3	2.2	2,2
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0	0.0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	3 389.4	2547.5	2848,5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	3 364.7	2519.2	2818,5
სანებართვო მოსაკრებელი	14223	6.7	6.2	6,2
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0	0.0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	3342.1	2500.0	2800,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	15.9	13.0	12,3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0	0.0	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	24.7	28.3	30,0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	14232	24.7	28.3	30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	351.2	210.0	674,5
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	61.8	14.3	62,0

თავი III

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ,არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 4673,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3 129.3	5182.0	94.3	5087.7	4673,5	85,0	4588,5
შრომის ანაზღაურება	838.1	1092.7	32.6	1060.1	1090,2	36,0	1054,2
საქონელი და მომსახურება	352.1	939,3	186,4	752,9	473,0	4,0	469,0
პროცენტი	0,0	29,0	0,0	29,3	16,7	0,0	16,7
სუბსიდიები	1741.6	1496.7	16.7	1480.0	2840,4	45,0	2795,4
გრანტები	12.1	6.2	0.0	6.2	6,6	0,0	6,6
სოციალური უზრუნველყოფა	172.2	193.0	0.0	193.0	211,5	0,0	211,5
სხვა ხარჯები	13.2	70.4	0.0	70.4	35,1	0,0	35,1

მუხლი 8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების

ცვლილება 3826,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა ათასი ლარის ოდენობით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	23.7	559,5	369.6
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	1,2	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4278.2	9922,7	3826.5
საგანმანათლებლო ღონისძიებები	173.5	208,2	0,0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	111.9	43,4	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
სულ ჯამი	4587.3	10735,0	3826,5

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათ. ლარის ოდენობით,მათ შორის:

დასახელება	2017წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	223.6	0,0	0,0
ძირითადი აქტივები	0.0	0,0	0,0
მატერიალური მარაგები	0.0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	223.6	0,0	0,0
მიწა	223.6	0,0	0,0

მუხლი 9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში , თანდართული რედაქციით

	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1191.9	2098.1	1830.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1191.9	2098.1	1830.0
70111	აღმასრულებელ;ი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1191.9	2028.1	1810.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	70.0	20,0
702	თავდაცვა	32.5	44.9	40,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3100.2	8393.1	2963.9
7045	ტრანსპორტი	3100.2	8393.1	2963.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3074.9	7819.0	2768.7
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	25.3	574.1	195,2
705	გარემოს დაცვა	942.8	653.8	318.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	29.3	28,3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	942.8	624.5	290.5

706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	783.1	2664.6	1296.8
7063	წყალმომარაგება	544.7	1083.0	0,0
7064	გარე განათება	1.3	0.0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	237.1	1581.6	1296.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	42,0	45.0	45,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	42,0	45.0	45,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	522.3	741.7	872,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	212.6	152.5	8,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	309.7	577.7	859,8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0,0	11.5	5,0
709	განათლება	929.5	1061.8	900,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	600.0	780.0	882,7
7092	ზოგადი განათლება	171.5	222.0	18,2
70923	საშუალო ზოგადი განათლება	171.5	222.0	18,2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	158.1	59.8	0,0
710	სოციალური დაცვა	172.2	214.0	231,8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	140.2	151.8	163,8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	136.9	147.0	160,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	3.3	4.8	3,8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28.3	41.2	45,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა	3.7	21.0	23,0
	სულ	7716.5	15917.0	8500,0

თავი IV

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო,ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019–2022 წლებისათვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები,

ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

· განათლება;

· კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

· მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

· მმართველობა და თავდაცვა.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამულო კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები,საკანალიზაციო და წყლის სისტემების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები და არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეესაბამებოდეს სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პროგრამის აღწერა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვნ მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე იგეგმება დაბა სტეფანწმინდაში სტეფანწმინდის და დავით აღმაშენებლის ქუჩების რეაბილიტაცია,სოფ. სიონისა და სოფ. გარბნის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია და სოფ.ყანობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობის დასრულება, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი,კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შეფასების ინდიკატორები: რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვისების გამართული ფუნქციონირება და ამ სერვისებით მოსახლეობის მაქსიმალური მოცვა.

პროგრამის აღწერა: პროგრამა მოიცავს წყლის სისტემების ,გარე განათების და დასუფთავების სერვისების მიწოდებას. არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში სრულად ვერ ხდება აღნიშნული სერვისების ხარისხიანი მიწოდება მოსახლეობისათვის. რისთვისაც საჭიროა აღნიშნული მიმართულებებით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

შეფასების ინდიკატორები: კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში.მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2.1. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა-პატრონობის ხარჯები. გარე განათების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა) იპ "ყაზბეგის კეთილმოწყობის" სამსახური.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: განათებული ტერიტორია.

შეფასების ინდიკატორები: სანათი წერილების რაოდენობა, რომელთაც გაეწია მომსახურება.მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2.2. წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის მიზანი: წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა. დაგეგმილია აგრეთვე სოფ.ხურთისის წყლის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

შეფასების ინდიკატორი: წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა,მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის მიზანი: სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში სანიტარიული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.დასუფთავების მომსახურებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ყაზბეგის კეთილმოწყობის“ სამსახური. გათვალისწინებულია აგრეთვე სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული„ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის „ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის პროცენტი. მოსალოდნელი შუალედური შედეგი: დასუფთავებული ტერიტორია და გაუმჯობესებული სანიტარიული მდგომარეობა.

შეფასების ინდიკატორები: გატანილი ნარჩენების საერთო რაოდენობა. მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2.4. „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია კომუნალური სერვისების გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა მოიცავს დ.სტეფანწმინდაში სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა პატრონობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანებას, საგზაო ნიშნების მოწყობას, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდას თოვლის საფარისგან, რაიონის სოფლებში წყალსადენის მოვლა პატრონობას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.

შეფასების ინდიკატორები: კომუნალური სერვისებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში,მოსახლეობის კმაყოფილება.

1.2.5. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 03.02.05)

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების ხარისხიანობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის ,სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.კერძოდ, გათვალისწინებულია: სოფ.ყანობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობის, სოფ.სიონის და სოფ. გარბნის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციის, სტეფანწმინდის და დავით აღმაშენებლის ქუჩების,სოფ.ხურთისის წყლის და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის,ადმინისტრაციული შენობის რემონტის ზედამხედველობის მომსახურება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და ჩატარებული ღონისძიებები.

შეფასების ინდიკატორი: შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაციისა და ღონისძიებების რაოდენობა.

1. 3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ახორციელებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას. გათვალისწინებულია სოფლებში რიტუალების სახლების კომუნალური ხარჯების დაფარვა.გათვალისწინებულია აგრეთვე სოფ.ცდოში სოფლის სახლის მშენებლობა, სოფ.ფანშეტის მიმდებარედ მინერალურ წყაროსთან“ ღია სპორტულ დასასვენებელი ცენტრის მშენებლობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კეთილმოწყობილი სოფლები,კმაყოფილი მოსახლეობა.

შეფასების ინდიკატორები: მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.1. სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა,ბაგა-ბაღების გახსნა ისეთ სოფლებში ,სადაც ბაღების გახსნისთვის შესაბამისი კონტინგენტი არ არის, მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონასით მომსახურება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის „სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი", რომელიც აერთიანებს 8 საბავშვო ბაღს,სადაც დაწყებით განათლებას იღებს 206 ბავშვი. საბავშვო ბაღებში სწავლა უფასოა.პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

შეფასების ინდიკატორი: სკოლისთვის მზად მყოფი ბავშვების ხვედრითი წილი. კმაყოფილი მოსახლეობა.

2.2. საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ძირითადი აქტივების მშენებლობა, არსებულის მიმდინარე შეკეთება და მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: სკოლისთვის მზად მყოფი ბავშვების რაოდენობა.

შეფასების ინდიკატორი: კმაყოფილი მოსახლეობა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი

პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი:მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აქტიურად დააფინანსებს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, მეკლდეურობა, რაგბი. განახორციელებს სპორტსმენთა ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელშეწყობას, მათ ფინანსურ დახმარებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოსახლეობის დაინტერესება ჯანსაღი სპორტული წესით და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მათი ჩართულობის ზრდას.

შეფასების ინდიკატორი: სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში აგრძელებს სხვადასხვა კულტურული ობიექტების და ხალხური ხელოვნების ყველა დარგის განვითარების ფინანსური მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს მათ შენარჩუნებას და შემდგომში განვითარებას. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული და სანახაობრივი ღონისძიებები,ასევე სადღესასწაულო დღეები სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული ”ყაზბეგობა”, რომლის მიზანია ხევის ტრადიციების პოპულარიზაცია და დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ხსოვნის უკვდავყოფა, ქართული ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ფესტივალები და კონცერტები.

პროგრამა ითვალისწინებს ბიბლიოთეკების ფინანსურ მხარდაჭერას,წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტებას ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით.

ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო წრეების ფინანსურ მხარდაჭერას. მათ შორის: ხატვის, ქსოვის თექის შესწავლის, ქორეოგრაფიული. აღადგენს და განავითარებს ხალხური რეწვის მივიწყებულ ტრადიციულ დარგებს და აწყობს ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვას. ხელს უწყობს ახალგაზრდების ნიჭისა და უნარის განვითარებას,წარმატებული მოსწავლე ახალგაზრდობის წახალისებას სხვადასხვა სახის პრიზებითა და საჩუქრებით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნიერებისადმი დაინტერესება. მუნიციპალიტეტში მუსიკალური და სამხატვრო განათლების განვითარების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორები: კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობა.

3.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას (ლაშქრობები, ექსკურსიები,სხვადასხვა ღონისძიებები).

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზებას, ურთიერთობების გაღრმავებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ახალგაზრდების დაინტერესება, სხვადასხვა ღონისძიებებში მათი ჩართულობის ზრდა.

შეფასების ინდიკატორები: ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონით განსაზღვრული დელეგირებული ფუნქციების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება,პროფილაქტიკური ღონისძიებათა გატარება;მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი და სხვა.

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – ყაზბეგის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები დაავადების პრევენციის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვა.ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

შეფასების ინდიკატორები: დაავადებების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა,დაცული სანიტარიული ღონისძიებების მქონე ობიექტების რაოდენობა.

4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება,რათა მათ გაუადვილდეთ მათ წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარება.

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ავადმყოფთა სოციალური დაცვა-გათვალისწინებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სამკურნალო და საოპერაციო მომსახურების დაფინანსება.დახმარება გაეწევა იმ მოქალაქეებსაც,რომლებსაც სამედიცინო ცნობისა (ფორმა №100) და ექიმის დანიშნულების საფუძველზე ესაჭიროებათ მედიკამენტების შეძენა. ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა – გათვალისწინებულია ყოველ ახალშობილ ბავშვზე ერთჯერადი დახმარება პირველი შვილის დაბადებაზე – 200 ლარი, მეორე შვილის დაბადებაზე- 300 ლარი, მესამე შვილის დაბადებაზე – 400 ლარი, მეოთხე შვილის დაბადებაზე – 500 ლარი, მეხუთე და ყოველი მომდევნო შვილის დაბადებაზე –1000 ლარი და ტყუპი შვილის დაბადებაზე -1000 ლარი.გარდა აღნიშნულისა დახმარება ერთჯერადად ეძლევა მრავალშვილიან ოჯახებს. ამ დახმარების მიმღები არის მრავალშვილიანი ოჯახის ყოველი არასრულწლოვანი –18 წლამდე ასაკის- შვილი 100 ლარის ოდენობით. ოჯახში ხანდაზმულ 90 და 90

წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე გაიცემა ერთჯერადად 250 ლარი ,ხოლო ჰემოდიალიზზე მყოფ ოჯახის წევრს დახმარება მიეცემა თვეში 100 ლარის ოდენობით.სარიტუალო მომსახურების ხარჯი – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ავღანეთის ომის მონაწილე პირთა სარიტუალო მომსახურებისათვის – 250 (ორას ორმოცდა ათი) ლარი, ხოლო უპატრონო მიცვალებულთათვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. შეზღუდული შესძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა – გათვალისწინებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება ფულადი ფორმით ერთჯერადად: I და II ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე -150 ლარის,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას -200 ლარი ,ხოლო მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე -250 ლარის ოდენობით. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება - გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველთათვის სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაჭირვებული მოსახლეობისათვის შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილი შეღავათიანი გარემო.

შეფასების ინდიკატორები: მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა,კმაყოფილი მოსახლეობა.

5. მმართველობა და თავდაცვა(პროგრამული კოდი 01 00,02 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

5.1. მმართველობა

პროგრამის მიზანი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და კვალიფიციური მუშაობა.

პროგრამის აღწერა: პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს,აპარატის შენახვის ხარჯებს, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს,ვალების დაფარვის ხარჯებს. გათვალისწინებულია №2 ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების მაღალხარისხიანი განხორციელება.

შეფასების ინდიკატორები: საჯარო მმართველობის შეფასებისას მაღალი ქულა.კმაყოფილი მოსახლეობა.

5.2. თავდაცვა

პროგრამის მიზანი: კანონით განსაზღვრული დელეგირებული ფუნქციების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა: შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების მაღალხარისხიანი განხორციელება.

შეფასების ინდიკატორები: დელეგირებული ფუნქციის ზედამხედველი ორგანოს შეფასება.

თავი VI

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ყაზბეგის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის დაზუსტებული გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	7,972.2	839.7	7,132.5	15,917.0	2,820.8	13,096.2	8,500.0	85.0	8,415.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	81.0	0.0	81.0	60.0	0.0	60.0	72.0	3.0	69.0
	ხარჯები	3,385.0	75.4	3,309.6	5,184.2	94.3	5,089.9	4,673.5	85.0	4,588.5
	შრომის ანაზღაურება	838.1	27.6	810.5	1,092.7	32.6	1,060.1	1,090.2	36.0	1,054.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,587.2	764.3	3,822.9	10,732.8	2,726.5	8,006.3	3,826.5	0.0	3,826.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,192.0	0.0	1,192.0	2,098.1	0.0	2,098.1	1,830.0	0.0	1,830.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	77.0	0.0	77.0	57.0	0.0	57.0	69.0	0.0	69.0
	ხარჯები	1,168.3	0.0	1,168.3	1,538.6	0.0	1,538.6	1,460.4	0.0	1,460.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.7	0.0	23.7	559.5	0.0	559.5	369.6	0.0	369.6
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	396.7	0.0	396.7	475.2	0.0	475.2	466.0	0.0	466.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	21.0		21.0	18.0		18.0	22.0		22.0
	ხარჯები	396.7	0.0	396.7	475.2	0.0	475.2	466.0	0.0	466.0
	შრომის ანაზღაურება	312.9	0.0	312.9	385.2	0.0	385.2	385.2	0.0	385.2
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	795.3	0.0	795.3	1,552.9	0.0	1,552.9	1,344.0	0.0	1,344.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	56.0		56.0	39.0		39.0	47.0		47.0
	ხარჯები	771.6	0.0	771.6	993.4	0.0	993.4	974.4	0.0	974.4
	შრომის ანაზღაურება	497.6	0.0	497.6	670.0	0.0	670.0	669.0	0.0	669.0
	არაფინანსური	23.7	0.0	23.7	559.5	0.0	559.5	369.6	0.0	369.6

	აქტივების ზრდა									
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	70.0	0.0	70.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	70.0	0.0	70.0	20.0	0.0	20.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	32.5	31.4	1.1	44.9	40.0	4.9	40.0	40.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4.0	0.0	4.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	0.0
	ხარჯები	32.5	31.4	1.1	43.7	38.8	4.9	40.0	40.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	27.6	27.6	0.0	37.5	32.6	4.9	36.0	36.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.2	1.2	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	32.5	31.4	1.1	44.9	40.0	4.9	40.0	40.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	4.0		4.0	3.0		3.0	3.0	3.0	
	ხარჯები	32.5	31.4	1.1	43.7	38.8	4.9	40.0	40.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	27.6	27.6	0.0	37.5	32.6	4.9	36.0	36.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.2	1.2	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,826.1	766.3	4,059.8	11,711.5	2,735.8	8,975.7	4,579.5	0.0	4,579.5
	ხარჯები	548.0	2.0	546.0	1,788.8	10.5	1,778.3	1,122.6	0.0	1,122.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,278.1	764.3	3,513.8	9,922.7	2,725.3	7,197.4	3,456.9	0.0	3,456.9
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	3,074.9	615.2	2,459.7	7,819.0	2,235.7	5,583.3	502.3	0.0	502.3
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	50.0	0.0	50.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,074.9	615.2	2,459.7	7,769.0	2,235.7	5,533.3	502.3	0.0	502.3
03 01 01	შიდა გზების და ქუჩების რეაბილიტაცია	3,074.9	615.2	2,459.7	7,819.0	2,235.7	5,583.3	2,768.7	0.0	2,768.7
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	50.0	0.0	50.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,074.9	615.2	2,459.7	7,769.0	2,235.7	5,533.3	2,768.7	0.0	2,768.7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და	1,514.0	104.1	1,409.9	2,310.9	34.8	2,276.1	1,599.9	0.0	1,599.9

	ექსპლოატაცია									
	ხარჯები	541.0	0.0	541.0	908.3	0.0	908.3	1,102.6	0.0	1,102.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	973.0	104.1	868.9	1,402.6	34.8	1,367.8	497.3	0.0	497.3
03 02 01	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1.3	0.0	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.3	0.0	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 02	წყლის სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია	942.8	99.8	843.0	624.5	0.0	624.5	290.5	0.0	290.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	942.8	99.8	843.0	624.5	0.0	624.5	290.5	0.0	290.5
03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	29.3	0.0	29.3	28.3	0.0	28.3
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	29.3	0.0	29.3	16.7	0.0	16.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	11.6	0.0	11.6
03 02 04	"ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის" ხელშეწყობა	544.7	0.0	544.7	1,083.0	0.0	1,083.0	1,085.9	0.0	1,085.9
	ხარჯები	541.0	0.0	541.0	879.0	0.0	879.0	1,085.9	0.0	1,085.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.7	0.0	3.7	204.0	0.0	204.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	25.2	4.3	20.9	574.1	34.8	539.3	195.2	0.0	195.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25.2	4.3	20.9	574.1	34.8	539.3	195.2	0.0	195.2
03 03	კეთილმოწყობის ღონისძიებები	20.5	0.0	20.5	1,444.6	440.3	1,004.3	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	800.0	0.0	800.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.5	0.0	20.5	644.6	440.3	204.3	0.0	0.0	0.0
03 03 01	გუდაურში ე.წ. გადასახედის რეაბილიტაცია	20.5	0.0	20.5	609.6	440.3	169.3	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური	20.5	0.0	20.5	609.6	440.3	169.3	0.0	0.0	0.0

	აქტივების ზრდა									
03 05	განაშენიანების გეგმა	0.0	0.0	0.0	835.0	0.0	835.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	800.0	0.0	800.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	35.0	0.0	35.0	0.0	0.0	0.0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	216.7	47.0	169.7	137.0	25.0	112.0	210.9	0.0	210.9
	ხარჯები	7.0	2.0	5.0	30.5	10.5	20.0	20.0	0.0	20.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	209.7	45.0	164.7	106.5	14.5	92.0	190.9	0.0	190.9
04 00	განათლება	929.5	0.0	929.5	1,061.8	0.0	1,061.8	900.9	0.0	900.9
	ხარჯები	756.0	0.0	756.0	853.6	0.0	853.6	900.9	0.0	900.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	173.5	0.0	173.5	208.2	0.0	208.2	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა	600.0	0.0	600.0	780.0	0.0	780.0	882.7	0.0	882.7
	ხარჯები	597.5	0.0	597.5	774.8	0.0	774.8	882.7	0.0	882.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.5	0.0	2.5	5.2	0.0	5.2	0.0	0.0	0.0
04 03	საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია	171.4	0.0	171.4	222.0	0.0	222.0	18.2	0.0	18.2
	ხარჯები	2.4	0.0	2.4	19.0	0.0	19.0	18.2	0.0	18.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	169.0	0.0	169.0	203.0	0.0	203.0	0.0	0.0	0.0
402	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა	158.1	0.0	158.1	59.8	0.0	59.8	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	156.1	0.0	156.1	59.8	0.0	59.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	778.0	0.0	778.0	741.7	0.0	741.7	872.8	0.0	872.8
	ხარჯები	666.1	0.0	666.1	700.5	0.0	700.5	872.8	0.0	872.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	111.9	0.0	111.9	41.2	0.0	41.2	0.0	0.0	0.0

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	212.6	0.0	212.6	152.5	0.0	152.5	8.0	0.0	8.0
	ხარჯები	212.6	0.0	212.6	152.5	0.0	152.5	8.0	0.0	8.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	0.5	0.0	0.5	6.0	0.0	6.0	8.0	0.0	8.0
	ხარჯები	0.5	0.0	0.5	6.0	0.0	6.0	8.0	0.0	8.0
05 01 02	კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა	212.1	0.0	212.1	146.5	0.0	146.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	212.1	0.0	212.1	146.5	0.0	146.5	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	564.4	0.0	564.4	577.7	0.0	577.7	859.8	0.0	859.8
	ხარჯები	453.5	0.0	453.5	536.5	0.0	536.5	859.8	0.0	859.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	110.9	0.0	110.9	41.2	0.0	41.2	0.0	0.0	0.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	115.8	0.0	115.8	186.9	0.0	186.9	33.0	0.0	33.0
	ხარჯები	4.9	0.0	4.9	145.7	0.0	145.7	33.0	0.0	33.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	110.9	0.0	110.9	41.2	0.0	41.2	0.0	0.0	0.0
05 02 02	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	40.5	0.0	40.5	27.7	0.0	27.7	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	39.5	0.0	39.5	27.7	0.0	27.7	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 03	კულტურის ცენტრების ხელშეწყობა	153.4	0.0	153.4	107.4	0.0	107.4	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	153.4	0.0	153.4	107.4	0.0	107.4	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	განათლების , კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი	0.0	0.0	0.0	255.7	0.0	255.7	826.8	0.0	826.8
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	255.7	0.0	255.7	826.8	0.0	826.8
05 03	ახალგაზრდული პროგრამების	0.0	0.0	0.0	11.5	0.0	11.5	5.0	0.0	5.0

	დაფინანსება									
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	11.5	0.0	11.5	5.0	0.0	5.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთველობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	214.1	42.0	172.1	259.0	45.0	214.0	276.8	45.0	231.8
	ხარჯები	214.1	42.0	172.1	259.0	45.0	214.0	276.8	45.0	231.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	42.0	42.0	0.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
	ხარჯები	42.0	42.0	0.0	45.0	45.0	0.0	45.0	45.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	172.1	0.0	172.1	214.0	0.0	214.0	231.8	0.0	231.8
	ხარჯები	172.1	0.0	172.1	214.0	0.0	214.0	231.8	0.0	231.8
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	136.8	0.0	136.8	147.0	0.0	147.0	160.0	0.0	160.0
	ხარჯები	136.8	0.0	136.8	147.0	0.0	147.0	160.0	0.0	160.0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	28.3	0.0	28.3	41.2	0.0	41.2	45.0	0.0	45.0
	ხარჯები	28.3	0.0	28.3	41.2	0.0	41.2	45.0	0.0	45.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	3.3	0.0	3.3	4.8	0.0	4.8	3.8	0.0	3.8
	ხარჯები	3.3	0.0	3.3	4.8	0.0	4.8	3.8	0.0	3.8
06 02 05	სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება	3.7	0.0	3.7	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	3.7	0.0	3.7	20.0	0.0	20.0	20.0	0.0	20.0

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი17

2019 წლის განმავლობაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო,დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 18

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება,ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება),დაევალოს მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 21

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად

მუხლი 22

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 85.0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 23

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 20.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.